

დებულება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის ერთდღიანი კრედიტების გაცემის შესახებ

დამტკიცებულია
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
2003 წლის 26 მარტის N70 ბრძანებით
გათვალისწინებულია

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
2007 წლის 22 აგვისტოს N225 ბრძანება
2007 წლის 31 დეკემბრის N346 ბრძანება*

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება შემუშავებულია “საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-2, მე-8, 33-ე და 73-ე მუხლების საფუძველზე.
2. დებულება განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, შესაბამისი უზრუნველყოფის საფუძველზე, სათავო რეზიდენტი კომერციული ბანკებისათვის, რომელთაც ანგარიშები აქვთ გახსნილი ეროვნულ ბანკში და რეგისტრირებული არიან საქართველოს ტერიტორიაზე (შემდგომში - კომერციული ბანკები), ეროვნული ვალუტით ერთდღიანი კრედიტის (შემდგომში - კრედიტი) ოდენობის განგარიშების, გაცემისა და დაფარვის წესებს.
3. ეს წესები ხელს შეუწყობს ეროვნული ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიან განხორციელებას და საბანკო სისტემის მოკლევადიანი ლიკვიდურობის მართვას.
4. კრედიტი მიეცემათ მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ CAMEL-ის (ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის, აქტივების ხარისხის, მენეჯმენტის, მოგება-შემოსავლიანობისა და ლიკვიდობის შეფასება) რეიტინგული სისტემით პირველი, მეორე და მესამე კატეგორიის მქონე ბანკებს.
5. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ერთდღიანი კრედიტი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი გირაოთი. გირაოდ მიიღება ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკის უცხოური ვალუტის საკორესპონდენტო ანგარიშზე რიცხული ნაშთი, კომერციული ბანკის მფლობელობაში არსებული ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები, სახელმწიფო ობლიგაციები და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

სახაზინო ვალდებულებები (შემდგომში ფასიანი ქაღალდები). ამასთან, აღნიშნულის ნოტარიულად დამოწმება აუცილებელი არ არის, რადგან მათი შენახვის კონტროლს ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი.

6. კრედიტით სარგებლობისათვის გადასახდელ ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს, გასაცემი კრედიტის საერთო ლიმიტს, გასაცემი კრედიტისათვის ფასიანი ქაღალდების ოდენობას, განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის კომისია.

7. ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს „საქართველოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილებებით, ითვალისწინებს ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელს, საბანკო სისტემის ლიკვიდურობის პოზიციას, სავალუტო და საფინანსო ბაზრების მდგომარეობას, აგრეთვე საერთო მონეტარულ ფონს.

8. საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს კრედიტებს აძლევს გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე (დანართი N1).

9. ეროვნულ ბანკს უფლება აქვს კომერციულ ბანკს უარი უთხრას კრედიტის გაცემაზე (რაც მას ეცნობება შესაბამისი განაცხადის მიღების დღესვე), თუ:

- ა) კომერციული ბანკი არ აკმაყოფილებს ამ დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
- ბ) კომერციული ბანკის მიერ სესხის მოთხოვნის მომენტისათვის სესხის გაცემა ეწინააღმდეგება ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკას.

მუხლი 2. კრედიტის ოდენობის, მისი სარგებლობისათვის გადასახდელი პროცენტის განსაზღვრისა და გაცემის წესი

1. კრედიტები გაიცემა ყოველდღიურად (შაბათ-კვირის გარდა), წინასწარ გამოცხადებული პირობებით (საპროცენტო განაკვეთი და საერთო თანხა). ამ პირობების შეცვლის შესახებ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება ძალაში შედის შეტყობინებიდან მომდევნო დღეს.

2. კრედიტის მისაღებად კომერციული ბანკი წერილობით ან „სვიფტით“ წარუდგენს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო და ფულად-საკრედიტო ოპერაციების დეპარტამენტს სათანადო ფორმის გარიგება-განაცხადს (შემდგომში - განაცხადი, დანართი N2), რომელიც წარმოდგენილ უნდა იქნეს 15 სთ-მდე, ხოლო სესხის გაცემა ხორციელდება იმავე დღის 16.00 სთმდე."

3. საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება კრედიტის პირობების შესახებ (დანართი N3) როგორც წერილობით, ისე ელექტრონული ფოსტით ეგზავნებათ კომერციულ ბანკებს. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს:

ა) გასაცემი კრედიტის საერთო ოდენობა;

ბ) კრედიტის ფიქსირებული, წლიური საპროცენტო განაკვეთი;

გ) საქართველოს ეროვნული ბანკის იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება (სავალუტო და ფულად-საკრედიტო ოპერაციების დეპარტამენტი), მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, „სვიფტის“ მისამართი და ფაქსი, რომელიც იღებს კომერციული ბანკის განაცხადს კრედიტის მიღების შესახებ.”

დ) სესხის ასაღებად საჭირო ფასიანი ქაღალდების ოდენობა (აღნიშნული განისაზღვრება დებულების 1-ლი მუხლის მე-6 პუნქტით).

4. განაცხადების მიღებას და დამუშავებას ახორციელებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილი საკრედიტო კომიტეტი (შემდგომში – კომიტეტი). კომიტეტი ამოწმებს განაცხადში მითითებული თანხის შესაბამისობას გასაცემი კრედიტის საერთო ოდენობასთან, ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების უცხოური ვალუტის საკორესპონდენტო ანგარიშზე რიცხულ ფაქტობრივ ნაშთთან და კომერციული ბანკების მფლობელობაში არსებული ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატების, სახელმწიფო ობლიგაციების ან სახაზინო ვალდებულებების ნომინალურ ღირებულებასთან. ფასიან ქაღალდებს უდარებს შესაბამის რეესტრს. ამასთან, ერთი ბანკის მიერ წარმოდგენილ განაცხადში მითითებული თანხა არ უნდა აღემატებოდეს გასაცემი კრედიტის საერთო მოცულობას.”

5. ეროვნული ბანკი არ განიხილავს იმ კომერციული ბანკების განაცხადებს, რომელთაც ვერ უზრუნველყვეს მათი სწორად წარმოდგენა.

6. იმ შემთხვევაში, თუ ყველა წარმოდგენილ განაცხადში მითითებული თანხის საერთო ოდენობა აღემატება ეროვნული ბანკის ლიმიტით განსაზღვრული კრედიტების საერთო ოდენობას, მაშინ კომერციული ბანკების განაცხადები კმაყოფილდება პროპორციულად, მძიმედან მარცხნივ ათეულის სიზუსტის დამრგვალებით.

7. სავალუტო სახსრების, როგორც კრედიტის უზრუნველყოფის, გამოყენების შემთხვევაში კომერციულ ბანკებს უფლება ეძლევათ გამოიყენონ მხოლოდ ეროვნულ ბანკში მათ უცხოური ვალუტის საკორესპონდენტო ანგარიშზე ფაქტობრივად რიცხული ნაშთის 90 პროცენტი. ამასთან, კრედიტის გაცემისას კომიტეტი ამზადებს განკარგულებას საქართველოს ეროვნული ბანკის (პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის) საოპერაციო დეპარტამენტის მიერ შესაბამისი თანხის დაჯავშნის თაობაზე.

8. (ამოღებულ იქნა)

9. კრედიტის გაცემისას ეროვნული ბანკი და კომერციული ბანკები აკეთებენ შესაბამის ჩანაწერებს როგორც საბუღალტრო დავთარში, ისე ფასიანი ქაღალდების რეესტრსა და სუბრეესტრში.

10. არ შეიძლება კრედიტის დაფარვის გადავადება.

მუხლი 3. კრედიტის დაფარვის წესი

1. კრედიტის მიმღები კომერციული ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს კრედიტისა და მასზე დარიცხული პროცენტის განაცხადში განსაზღვრულ ვადაში, კრედიტის გაცემიდან მომდევნო საბანკო დღის ბოლომდე დაფარვა. ამასთან, თუ კრედიტის გაცემის მომდევნო დღე დაემთხვა არასამუშაო დღეს (შაბათი, კვირა, სადღესასწაულო დღეები), სესხის დაფარვა განხორციელდება პირველივე საბანკო დღეს. ამ შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთი სასესხო დავალიანებაზე დაირიცხება არასამუშაო დღეების გათვალისწინებით (საპროცენტო განაკვეთების განგარიშებისას მხედველობაში მიღებულ იქნება არასამუშაო დღეების რაოდენობაც).

2. გარიგების დადების შემდეგ კომიტეტი ამზადებს საანგარიშსწორებო დოკუმენტაციას, რომელიც მოიცავს შესაბამის განკარგულებას (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის) კომერციული ბანკისათვის კრედიტის მიცემის შესახებ და რომელიც გადაეცემა ეროვნული ბანკის საოპერაციო დეპარტამენტს. განკარგულებაში, როგორც წესი, მითითებული უნდა იყოს კრედიტის თანხა, დაფარვის თარიღი და კრედიტით სარგებლობისათვის გადასახდელი პროცენტი. რომელიც განისაზღვრება ამ დებულების 1-ლი მუხლის მე-6 პუნქტით.

3. კრედიტისა და მასზე დარიცხული პროცენტის დადგენილ ვადაში დაფარვისას ეროვნული ბანკი და კომერციული ბანკები აკეთებენ შესაბამის ჩანაწერებს როგორც საბუღალტრო დავთარში, ისე ფასიანი ქაღალდების რეესტრსა და სუბრეესტრში.

4. კრედიტისა და მასზე დარიცხული პროცენტის დასაფარავად კომერციული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე სახსრების უკმარისობისას დარჩენილი დავალიანება იფარება კრედიტის უზრუნველყოფის ხარჯზე.

5. თუ კომერციული ბანკის უცხოური ვალუტით საკორესპონდენტო ანგარიშზე რიცხული სავალუტო სახსრები გამოყენებულია როგორც უზრუნველყოფა, კრედიტის დაფარვის დღეს მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით შესაბამისი თანხის შიდა კონვერტაციის (ვიცე-პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე) შემდეგ ეროვნული ბანკი ფარავს მის მიმართ არსებულ სასესხო დავალიანებას.

6.თუ გამოყენებულია ფასიანი ქაღალდები, როგორც კრედიტის უზრუნველყოფა, მათ რეალიზაციას ეროვნული ბანკი ახდენს ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე. ამასთან, თუ ფასიანი ქაღალდების რეალიზაციის ფასი აღემატება დავალიანებას, ეროვნული ბანკი ვალდებულია იმავე დღეს დაუბრუნოს განსხვავება კომერციულ ბანკს.

7.თუ ფასიანი ქაღალდების რეალიზაციის ფასი აღმოჩნდება გაცემულ კრედიტზე ნაკლები, საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება აქვს “საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 70-ე მუხლის (“ეროვნული ბანკის უპირატესი უფლება“) თანახმად უკმარი თანხა მიიღოს მსესხებლის სხვა აქტივებიდან.

* საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N346
2007 წლის „31“ დეკემბერი
ქ. თბილისი

„საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის ერთდღიანი კრედიტების გაცემის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2003 წლის 26 მარტის N70 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის, 73-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1. „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის ერთდღიანი კრედიტების გაცემის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2003 წლის 26 მარტის N70 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში (სსმ მე-3 ნაწილი, 07.04.03წ. N31, მუხ. 250) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მესამე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. კრედიტის მიმღები კომერციული ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს კრედიტისა და მასზე დარიცხული პროცენტის განაცხადში განსაზღვრულ ვადაში, კრედიტის გაცემიდან მომდევნო საბანკო დღის ბოლომდე დაფარვა. ამასთან, თუ კრედიტის გაცემის მომდევნო დღე დაემთხვა არასამუშაო დღეს (შაბათი, კვირა, სადღესასწაულო დღეები), სესხის დაფარვა განხორციელდება პირველივე საბანკო დღეს. ამ შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთი სასესხო დავალიანებაზე დაირიცხება არასამუშაო დღეების გათვალისწინებით (საპროცენტო განაკვეთების განგარიშებისას მხედველობაში მიღებულ იქნება არასამუშაო დღეების რაოდენობაც).“

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2007 წლის 31 დეკემბრიდან.

დავით ამალღობელი
პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი